ორხიდეები

აველ დაღლილი მარმარილოს თლილ კიბეებით –
დარბაზში, სადაც ვისვენებდი ჯერ ისევ დილით;
ორხიდეებ– ს მწყობრად იდგა მუქი შლეიფი
განაზებულნი ჩემი ფერმკრთალ სულის სიკვდილით.

ხავერდის კუბო, დათოვლილი თეთრ ზამბახებით
იდგა მდუმარე, მგლოვიარე და დასევდილი.
ოჰ! იგი აქ წევს აბრეშუმის თეთრი ტალღებით...
ამ ყვავილებში დავასვენე ჯერ ისევ დილით.

დაქვრივებული ოთახები ჩუმად სტიროდნენ:
შავი გედივით მაღლა იდგა კუბო პირქუში!
დაქვრივებული ოთახები ჩუმად სტიროდნენ,
ჯერ ისევ გუშინ რომ ხარობდნენ, ჯერ ისევ გუშინ.

მე დავცქეროდი ისრებივით დახრილ წამწამებს,
სამგლოვიარო დოლბანდებად რომ ჩამოვარდ;
გადაეფარა იმის თვალთა უსივრცო ღამეს
და არასდროს არ აიხდება ხელახლა ფარდა.